გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 155
2025 წლის 30 ოქტომბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1.

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 19 საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 15 წევრი;

ბ) ფრაქცია “ხალხის ძალა“ – 3 წევრი;

2. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე